სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N1

დ.მესტია 27/08/2014 წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*
- *კაპიტონ ჟორჟოლიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

- კომისიის წევრები:
  - გურამ ჩართოლანი– მთავარი სპეციალისტი ზედამხედველობის სამსახურში
  - *დავით რატიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
  - *გვანცა ჯაფარიძე – არქიტექტურილ სამშენებლო საქმიანობის სივრცითი განვითარების სამსახურის უფროსი: (შვებულებაშია)*
  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი ;

- *კომისიის აპარატის წევრები:*
  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
  - *ბექა მერლანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;
  -

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 22 აგვისტოს გამოცხადებული N1321 კონკურსი.

დ. მესტიაში ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–ზე განაცხადი შემოიტანა ერთმა პრეტენდენტმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის შპს „ად–სტუდიო"–ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ კონკურსანტის შპს „ად–სტუდიო"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს

და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით“ განსაზღვრულ მონაცემებს.

შპს „ად–სტუდიო“–ს მიერ წარმოდგენილი იყო კონვერტზე დაკრული ქვითარი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებლად. კონვერტში მოთავსებული იყო რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გამოცდილება და საკონკურსო წინადადება. საკონკურსო თანხა თავდაპირველად 58 000 ლარი იყო ხოლო კონკურსანტმა წინადადებაში დააფიქსირა 56 050 (ორმოცდათექვსმეტიათას ორმოცდაათი) ლარი.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ შპს „ად–სტუდიო“, გამოვლინდეს გამარჯვებულად N1321 კონკურსში თანხით 56 050 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: კ.ჟორჟოლიანი

კომისიის წევრები: გ. ჩართოლანი

დ. რატიანი

გ. ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი

ბ. მერლანი